

ცოცხალი ურთიერთობა ავტორსა და მკითხველს შორის ძველ ქართულ
ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულსა და ჰომილეტიკურ ლიტერატურაში

ნინო ჩიტიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორ - ემერიტუსი: თამაზ კოჭლამაზაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნ. ჩიტაშვილი

აბსტრაქტი

საკვლევად არჩეული თემა მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმ მხრივ, რომ ძველი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ლიტერატურის ვრცელი განხილვა-გააზრება, დაკვირვება ავტორსა და მკითხველს შორის არსებული ცოცხალი ურთიერთობის გამოვლენის კუთხით, ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ.

ჩვენ მიერ არჩეული საკვლევითი თემის მიზანია გამოვლენა იმისა, თუ როგორია ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ძველ ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულსა და ჰომილეტიკურ ლიტერატურაში, მისი რამდენიმე ნიმუშის საფუძველზე.

დასახელებული თემის სწორად გააზრებისათვის გავეცანი სტატიებს იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ნაწარმოები, რისთვის იქმნებიან ისინი. ასევე სტატიებს ავტორისა და მკითხველის დამოკიდებულებაზე, პირველ რიგში გავეცანი უშუალოდ ტექსტებს. ამ ყოველივემ კი საშუალება მომცა, გამეაზრებინა აღნიშნული საკითხი, გამომეკვეთა ის საინტერესო კონტექსტები და დიალოგები, რომლებშიც ჩანს, თუ რამდენად აქტიურია კავშირი ავტორსა და მკითხველს შორის ძველ ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულსა და ჰომილეტიკურ ლიტერატურაში.

შევეცადე ასევე ამეხსნა ის კონტექსტები, რომლებშიც ნათლად არ იყო გამოხატული ურთიერთობა ავტორსა და მკითხველს შორის, არამედ იგულისხმებოდა ქვეტექსტით.

ჩვენი ნაშრომის ძირითადი დასკვნა ისაა, რომ მკითხველისა და ავტორის ურთიერთობის ამსახველი პასაჟები ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ თხზულებებში ერთ-ერთ უმთავრეს სტილისტურ აქცენტად უნდა იქნეს მიჩნეული.

Abstract

The theme chosen for researching is significant and interesting in terms of the fact that we could not find any reviews/interpretations of the old Georgian translated hagiographic and homiletic literature, observation for revealing brisk relationship between an author and a reader in our available scientific literature.

The purpose of the research theme chosen by us is to reveal what kind of relationship is there between an author and a reader in the old Georgian translated hagiographic and homiletic literature based on its several samples.

In order to mature the cited theme correctly, I have acquainted the articles about the demands which a hagiographic and a homiletic composition needs to accede and why they are created. I have also acquainted the articles about an author and a reader's attitude, at first I have directly read the texts. This everything gave me the opportunity to analyse the given issue and outline those interesting contexts and dialogues, in which it is apparent how active the connection is between an author and a reader in the old Georgian translated hagiographic and homiletic literature.

I have tried to explain those contexts from the compositions, in which the relationship between an author and a reader was not expressed clearly, but is meant by subtext.

The main conclusion of our paper is that the passages depicting the relationship between an author or a reader is one of the main stylistic accents.

მადლობა

გულითად მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, თამაზ კოჭლამაზაშვილს, გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.